კომუნისტი

PROLETARIERE VON ALLEN LÄNDERN, VEREINIGT EUCH!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 6 (12214) | კვირა, 7 იანვარი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

ჩვენი ქვეყანა შევიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში. იმასთან დაკავშირებით, რომ 1962 წლის 16 მარტს თავდება სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რწმუნებულება, 1962 წლის 18 მარტს დანიშნულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

არჩევნებისათვის მზადება დაიწყო სკკპ XXII ყრილობით გამოწვეული საყოველთაო-სახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასა და შრომას, მათს განწრახვებსა და მისწრაფებებს შუქს ჰფენს პარტიის პროგრამა, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო. როცა პროგრამას კითხულობენ და სწავლობენ, საბჭოთა ადამიანები ხედავენ, როგორი იქნება ახალი საზოგადოება, რომელზეც ოცნებობდა ადამიანთა მრავალი თაობა, რა უნდა გაკეთდეს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფისა და ახალი ადამიანის აღზრდისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების დროიდან ოთხი წელიწადი გავიდა. ეს პერიოდი აღსავსე იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებით. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად და ბეჯითად ახორციელებდნენ ამოცანებს, რომლებიც პარტიამ წამოაყენა წარსული არჩევნების წინ. პარტია განუხრელად ახორციელებდა სკკპ ისტორიული XX ყრილობის მიერ შემუშავებულ ლენინურ კურსს და წარმართავდა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს ღონისძიებებს სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და დედამიწაზე მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირი შევიდა გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში. ხალხის დიადი შემოქმედებითი შრომით იქმნება ახალი საზოგადოების ეკონომიური საძირკველი, მიღწეულია მეცნიერებისა და კულტურის მძლავრი აღმავლობა. გასულ წელს მრეწველობამ გამოუშვა იმდენივე პროდუქცია, რამდენიც მთელ პირველ ომისშემდგომ ხუთწლედში. სახელმწიფოს ბელჯეტში შესულია 820 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე 1960 წელს. ყოველივე ეს ჩვენში კეთდება ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის! პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს და ახორციელებენ მთელ რიგ ღონისძიებებს ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მეტად მჭევრმეტყველია ასეთი ციფრი: უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის თითქმის მეოთხედმა მიიღო ახალი ბინები! ამ წლების მანძილზე განუზომლად გაიზარდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი და გავლენა საერთაშორისო ასპარეზზე, სოციალიზმის სისტემა მსოფლიო განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა.

ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით სკკპ XX ყრილობის შემდეგ, უდიდესი მუშაობაა გაწეული პარტიისა და სახელმწიფოს ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისათვის, საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი გაფართოებისათვის. ამან შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ახალი შესაძლებლობები შექმნა იმისათვის, რომ მასები სულ უფრო მეტად ჩავებათ სახელმწიფოს საქმეების მართვაში და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლში.

ПРАВДА

6 იანვრის მოწინავე

ჩვენი სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, ახალ, თანამედროვე ეტაპზე გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამომხატველ ორგანოდ. სკკპ პროგრამაში აღნიშნულია:

„სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარება და სრულყოფა, ყველა მოქალაქის აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესება და მისი საქმიანობისადმი სახალხო კონტროლის გაძლიერება — ასეთია სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარი მიმართულება კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში“.

დიდი ლენინი ამბობდა, რომ სახელმწიფოს მართვაში, სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებაში უნდა ჩავებათ უკლებლივ ყველა მოქალაქე. ჩვენი პარტია წმიდად ასრულებს ლენინის ამ ანდერძს. საბჭოთა მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენტს სრული უფლება აქვთ თქვან: სახელმწიფო ჩვენა ვართ; მისი პოლიტიკა ჩვენი პოლიტიკაა!

ადგილობრივ საბჭოებში გასულ წელს აირჩიეს ერთ მილიონ 822 ათასი დეპუტატი. ოც მილიონზე მეტი მშრომელი აქტიურად მონაწილეობს საბჭოების საქმიანობაში, სხვადასხვა კომისიის მუშაობაში, ეკონომიური და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში. ეს სწორედ ეს არის დემოკრატიის ნამდვილი გაფურჩქვნა!

კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში გაიზრდება საბჭოების როლი, რომლებიც წარმოადგენენ ხალხის ყოვლისმომცველ ორგანიზაციას, მისი ერთიანობის განსახიერებას. სკკპ პროგრამაში აღნიშნულია, რომ საჭიროა ვაუმჯობესოთ სახალხო წარმომადგენლობის ფორმები, განვავითაროთ საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიული პრინციპები. საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების დროს უნდა უზრუნველვყოთ კანდიდატების პოლიტიკური და საქმიან ღირსებათა უაღრესად ფართო, ყოველმხრივი განხილვა კრებებზე და პრესაში, რათა ავირჩიოთ ყველაზე ღირსეული და ავტორიტეტიანი ადამიანები. იმისათვის, რომ ჩვენი საბჭოები კიდევ უკეთესად მუშაობდნენ, რომ სახელმწიფოს მართვის სკოლას გადიოდნენ ახალი მილიონობით მშრომელნი, გათვალისწინებულია ყოველ არჩევნებში განახლდეს დეპუტატთა შემადგენლობის მესამედი მაინც.

რა მკვეთრი კონტრასტია თანმიმდევრულ სოციალისტურ დემოკრატიზმსა, ნამდვილ სახალხო ხელისუფლებასა და იმას შორის, რაც ამჟამად ხდება იმპერიალიზმის სამყაროში! ჩვენში ძალაუფლება ეკუთვნის მთელ ხალხს, იქ მართავს სამდიდრით შეიარაღებული უმცირესობა. ძირმომპალი კაპიტალიზმის სამყარო სულ უფრო ზღუდავს და ახახჩრებს შეკვეცილი ბურუჟაზიული დემოკრატიის ნაშთებს, რომელიც მუდამ იყო თვალთმაქცური, ხამოთხე ექსპლოატატორებისათვის, მაგრამ ამ ოტყუება ექსპლოატირებულთათვის. ავიღოთ თუნდაც სსრ კავშირის უკანასკნელი მოწვევის უმაღლესი საბჭოს და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული კონგრესის შემადგენლობა. ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში 831 მუშა და გლეხია — დეპუტატთა მთელი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრთა შორის არ არის არც ერთი მუშა და წვრილი ფერმერი, სამაგიეროდ არის ბანკიერნი და სამრეწველო კორპორაციების 157 წარმომადგენელი.

როგორც ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა XXII ყრილობაზე, დემოკრატიის გაფურჩქვნა სოციალისტურ ქვეყნებში და ისედაც შეკვეცილი დემოკრატიის სულ უფრო შეზღუდვა კაპიტალისტურ ქვეყნებში — ასეთია ორი მოპირდაპირე ხაზი თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ განვითარებაში.

ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე სულ უფრო ფართოდ გაიშლება არჩევნებისათვის მზადება. დაიწყო კანდიდატების დასახელება ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში. იქმნება საარჩევნო ოლქები. ადგილობრივმა საბჭოებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დიდი ორგანიზატორული მუშაობა უნდა გასწიონ არჩევნების მომზადებისა და მოწყობისათვის. არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნდა გაშალონ ამომრჩევლებში. საჭიროა ყველგან გავაქტიუროთ აგიტპუნქტებისა და აგიტკოლექტივების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა. მისი მთავარი შინაარსია პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ პროგრამის განმარტება, მშრომელთა მობილიზაცია გმირული შრომისათვის კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განსახორციელებლად.

საბჭოთა ადამიანები პარტიის გარშემო, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მონოლითურად შეკავშირებულნი ეგებებიან არჩევნებს. ჩვენი ხალხი დარწმუნებულია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იგი შესანიშნავ გამარჯვებებს მოიპოვებს კომუნიზმის მშენებლობის ფრონტზე.



ეს დღეები ჩვენს რესპუბლიკაში

ჩაის პლანტაციებში

ჩოხატაური. („კომუნისტის“ კორ.). საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებული დადგენილების შესასრულებლად რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მთელი რიგი ღონისძიებები დასახეს. კოლმეურნეობებში დაბარულია 415 ჰექტარი ჩაის პლანტაციები.

ცუდი ამინდის დადგომამდე ბევრ კოლმეურნეობაში შეასრულეს ნიადაგის ბარვის, საღრენაჟო არხების გაწმენდის, სასუქების შეტანის სამუშაოები. რაიონის კოლმეურნეობებში შეამოწმეს ჩაის პლანტაციის მდგომარეობა და აღმოჩნდა, რომ ზოგან საჭიროა განხორციელდეს ბუჩქების ნახევრადმძიმე გასხვლა. ეს სამუშაო რაიონში დაწყებულია.

მოწინავე კოლმეურნეობები ამთავითვე იმარაგებენ სასუქებს. გაზაფხულზე და ზაფხულში ნიადაგში შესატანად. შეაკეთეს და წესრიგზე აქვთ ჩაის ბუჩქების სასხლავი მაკრატლები, საფუმიგაციო აპარატები. ჩოხატაურელ მეჩაიეთა გადაწყვეტილებაა შარშანდელთან შედარებით წელს სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

თამგაქო გეგმის გადამეტებით

ოჩამჩირის რაიონის სოფელ არაგიჩის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობა კარგა ხანია თამბაქოს დამზადების გეგმებს გადამეტებით ასრულებს. შვიდწლედის მესამე წელსაც კოლმეურნეობამ 140 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 150 ტონა ხმელი თამბაქო.

რაიონის კოლმეურნეობებში სულ უფრო ძლიერდება თამბაქოს ჩაბარების ტემპი. სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 822,9 ტონა თამბაქო.

სოფელ ლაბრის „დანოვის სახელობის კოლმეურნეობამ შეასრულა წლიური გეგმა — სახელმწიფოს მიჰყიდა 128 ტონა თამბაქო და აშკამად გეგმის გადამეტებით აბარებს მას. სოფელ ჯგერდის სუვოროვის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდა 800 კილოგრამი ხმელი თამბაქო.

მ. ბოჭუა.

შირაქის გულში

შირაქის მყუდროებას მხოლოდ ერთი ტრაქტორის გუგუნი არღვევდა, ვიფიქრეთ, რომ ალბათ რომელმე მექანიზატორმა მზრალად ხვნის გეგმა ვერ შეასრულა და ახლა, ზამთრის კარგ ამინდს იყენებს ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

მაგრამ არა, ვარაუდი არ გამართლდა. მზრალი მოხნულია, ტრაქტორს გუთნის მაგიერ სათესის მაგვარი მანქანა აქვს მობმული, თანაც რაღაც კვამლისფერ მტვერს აყენებს.

წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების „დანოვის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი შალვა ღორაშვილი არ აპირებდა ტრაქტორის შეჩერებას, მაგრამ როცა დაგვინახა, მანქანა შეაჩერა და თავაზიანად მოგვესალმა.

— ამხანაგო შალვა, განა არ აპირებთ ტრაქტორის შეკეთება-მომზადებას გაზაფხულისთვის?

შალვამ გაიღიმა და გვიპასუხა: ჩემი ტრაქტორის რემონტს მთელი წლის მანძილზე ვაწარმოებ, ამ დალოკვილს თუ ყოველდღე ჩაჰკირკიტებ და ბავშვივით არ მოაკლებ ზრუნვას, მუშაობს და მუშაობს შეუფერხებლად.

კვადრატულ-ბუდობრივი სათესი, გუთანი და კულტივატორი უკვე შევაკეთე, შევზეთე და ფარდულში დგანან, საბრძოლველად გასვლის ბრძანებას ელიან. მე კი ამინდს ვეშურები და მზრალზე სასუქი შემაქვს.

შალვა ღორაშვილი თერმეტი წელია ტრაქტორის საჭეს უჭირავს და ყოველთვის წარმატებით ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებებს.

მექანიზატორის პატრიოტული მისწრაფებაა შვიდწლედის მეოთხე წელს დიდი სიმინდის მიღებისათვის ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანოს. 96 ჰექტარზე დათესავს სიმინდს კვადრატულ-ბუდობრივად. უზრუნველყოფს ამ ფართობზე 350 ტონა სიმინდის მოყვანას. ამასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ცნობილ მექანიზატორს აბრამ ბენაშვილს.

გ. ბოჩიტაშვილი.

ზვარს ზვარი ემატება

თელავი. („კომუნისტის“ კორ.). ალაზნის მარჯვენა ნაპირზე თუ ცოვგომბორის ჩრდილოეთ კალთებზე ზვრების ფართობი ყოველწლიურად დიდდება. რაიონის კოლმეურნეობებმა შვიდწლედის მესამე წელს ზვრების ფართობი 288 ჰექტარით გაადიდეს.

შარშან რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავმა“ 28 ჰექტარზე გააშენა ახალი ვენახი, იყალთოს შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ — 23 ჰექტარზე, ვარდისუბნის კოლმეურნეობამ — 19 ჰექტარზე. ვენახების გაშენების დაგალება სასახელოდ შეასრულეს აგრეთვე აკურის, სანიორის, კურდღელაურისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს თელაველმა მევენახეებმა მეტი სიბეჯითით უპასუხეს. წელს ოთხას ჰექტარზე გააშენებენ ახალ ვენახს.

რომ დოვლათი ამრავლონ

ყვარელი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მევენახეებმა გადაწყვიტეს ზვრები ამრავლონ მხოლოდ ნამყენი ვაზით. ამ მხრივ შარშან ერთგვარი სიძნელე შეიქმნა და ვენახის გაშენების დავალება ვერ შესრულდა.

ამიტომ წელს მევენახეებმა ასობით ჰექტარი ვენახი უნდა გააშენონ. ახლა დიდი მუშაობაა გაჩაღებული. ჯერ კიდევ შემოდგომაზე მომზადდა 400 ჰექტარი პლანტაჟი ვენახის გასაშენებლად. ყველა კოლმეურნეობაში ზრუნავენ საკუთარი სადედე მეურნეობის და ვაზის მყნობისათვის ყველა პირობის შესაქმნელად.

სიმეჩხრის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ კალთებზე ბევრ ადგილას ბარვის, ბაბალეთ-ბოდბისა და ბოლნისის ტერიტორიაზე ბარვა ბოლო ხანებამდე ბოლოვდებოდა. ეს ადგილები ბარვის ბოლოს ბოლოს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები

სსრ კავშირის კონსტიტუციის 35 მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25 და 26 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 6 იანვრის ბრძანებულებით შექმნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 645 საარჩევნო ოლქი, აქედან:

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში

376. სოხუმის ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). ქალაქ სოხუმის აღმოსავლეთი ნაწილი ორჯონიკიძის, ვაგზლისა და ყაზბეგის ქუჩებიდან.

377. სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). ქალაქ სოხუმის დასავლეთი ნაწილი ორჯონიკიძის, ვაგზლისა და ყაზბეგის ქუჩებიდან.

378. სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი სოხუმი). სოხუმის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ახალშენის, ბესლეთის, გუმისთის, ზემო ეშერის, კელასურის, მთისუბნის, ოდიშის, ფსხუს, თავისუფლების, შრომის, ეშერის და მაჭარისა).

379. გაგრის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გაგრა). გაგრის რაიონი (ქალაქი გაგრა და სასოფლო საბჭოები: მიქელრიფშის, ნაკადულის, ხაშუფსის, ხოლოდნორიჩენსკის, ბაღნარის, განთიადის, ლესელიძის და კოლხიდისა).

380. გალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გალი). გალის რაიონი (ქალაქი გალი და სასოფლო საბჭოები: რეფოშემელეთის, ქვემო ბარღების, ზემო ბარღების, ოტობაიის, ფიჩორის, ნაბაკევის, თაგალონის, ხილის, განახლების, ჟუთხინჯის, საბერიოს, ლეკუხონას, რეჩხიკურის, დიხაზურგის, ღუმურშის, პარველი გალის და მზიურისა).

381. გუდაუთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი გუდაუთი). გუდაუთის რაიონი (ქალაქი გუდაუთი და სასოფლო საბჭოები: აბღარსუქის, აიცის, ანუხვის, აჭანდარის, პრიმორსკოეს, ყულანურხვის, მწარის, ფსირცხისა და დაბა ახალი ათონი).

382. გულრიფშის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი გულრიფში). სოხუმის რაიონი (სასოფლო საბჭოები: აჟარის, აზანთის, ამტყელის, ბაღმარანის, განახლების, გულრიფშის, დრანდის, ელადიმიროვკის, ლათის, მერხეულის, ოქტომბრის და წებელდისა).

383. კალდახვარის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი კალდახვარი). გაგრის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ლიძავის, ბზიფის, ალახაძისა) და გუდაუთის რაიონი (სასოფლო საბჭოები: აგარაკის, კალდახვარის, ჯირხვის, ბლაუურხვის, ოთხარის, მუგუძირხვის, ზვანდრიფშის, ლიხნის, ბარმიშის, ხოფის, ახალსოფლის და დურიფშისა).

384. ოჩამჩირის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ოჩამჩირე). ოჩამჩირის რაიონი (ქალაქი ოჩამჩირე და სასოფლო საბჭოები: აძიუბჟის, არაკიჩის, ათარის, სომხური ათარის, ჯგერდის, ქოჩარის, კეიტოულის, ახალკინდღის, კინდღის, ტამიშის, ლაბრის და არადუსისა).

385. ოჩამჩირის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ოჩამჩირე). ოჩამჩირის რაიონი (სასოფლო საბჭოები: მოქვის, ჭლოუს, ბესლახუბის, ტყვარჩელის, ილორის, ოხურეს, ფოქვეშის, თხინის, ოტაფის, არასაძიხის, გუფის, აგუ-ბეგიის და რეკისა) და გალის რაიონი (სასოფლო საბჭოები: გუდავის, აჩიგვარის, ბეღიის, ჩხოროთოლის, ოქუმის, მუხურის და წარჩისა).

386. ტყვარჩელის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქალაქი ტყვარჩელი). ქალაქი ტყვარჩელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები

სსრ კავშირის კონსტიტუციის 35 მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25 და 26 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 6 იანვრის ბრძანებულებით შექმნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 645 საარჩევნო ოლქი, აქედან:

აჭარის ასს რესპუბლიკაში

387. ბათუმის ლენინის საარჩევნო ოლქი. (ცენტრი—ქალაქი ბათუმი). ქალაქ ბათუმის ნაწილი საზღვრებში—შაუმიანის ქუჩის ლუწი ნომრები, ზღვის ნაპირი რკინიგზის ჩიხამდე ხრეშის კარიერზე და ჭავჭავაძის ქუჩის ლუწი ნომრები.

388. ბათუმის შაუმიანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—ქალაქი ბათუმი). ქალაქ ბათუმის ნაწილი საზღვრებში—ზღვიპირის ქუჩა, ჭავჭავაძის ქუჩის ლუწი ნომრები, შაუმიანის ქუჩის კენტი ნომრები, ზღვის ნაპირი.

389. ბათუმის ფრუნზეს საარჩევნო ოლქი (ცენტრი—ქალაქი ბათუმი). ქალაქ ბათუმის ნაწილი საზღვრებში—ზღვისპირის ქუჩა, ფრუნზეს ქუჩის ლუწი ნომრები, ჭავჭავაძის ქუჩის კენტი ნომრები რკინიგზის ჩიხამდე ხრეშის კარიერზე, ქალაქის ფარგალი.

390. ბათუმის ზღვისპირის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—ქალაქი ბათუმი). ქალაქ ბათუმის ნაწილი საზღვრებში—ფრუნზეს ქუჩის კენტი ნომრები (ჩათვლით), ზღვის ნაპირი, ქალაქის ფარგალი.

391. ქედის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—სოფელი ქედა). ქედის რაიონი.

392. ქობულეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—ქალაქი ქობულეთი). ქობულეთის რაიონი (ქალაქი ქობულეთი, დაბა ონჩხამური და სასოფლო საბჭოები: მუხაესტატის, ლეღვას, ქაქუთის, ქობულეთის, ჭახათის და აჭყისთავისა).

393. ურეხის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—სოფელი ურეხი). ბათუმის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ურეხის, ახალშენის, ჩაისუბნის, კახაბრისა და მახინჯაურის სადაბო საბჭო).

394. ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—სოფელი ხელვაჩაური). ბათუმის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ხელვაჩაურის, გონიოს, თხილნარის, აჭარისწყლის, ყირნათის, აჭარისალმართის და სარფისა).

395. ხულოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი—სოფელი ხულო). ხულოს რაიონი.

396. ჩაქვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—დაბა ჩაქვი). ქობულეთის რაიონი (ჩაქვის სადაბო საბჭო და სასოფლო საბჭოები: ხალას, ბობოყვათის, კვირიკეს, ხუცუბნის, ციხისძირის და ულიანოვკისა).

397. შუახევის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—სოფელი შუახევი). შუახევის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები

სსრ კავშირის კონსტიტუციის 35 მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25 და 26 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 6 იანვრის ბრძანებულებით შექმნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 645 საარჩევნო ოლქი, აქედან:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

631. ცხინვალის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი—ქალაქი ცხინვალი). ქალაქი ცხინვალი.

632. ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი—ქალაქი ცხინვალი). ცხინვალის რაიონი.

633. ჯავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—სოფელი ჯავა). ჯავის რაიონი.

634. ზნაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—სოფელი ზნაური). ზნაურის რაიონი.

635. ლენინგორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—დაბა ლენინგორი). ლენინგორის რაიონი.

ამოდუღდი მარგალიტი!

ნარკვევი



სოფელი წილკანი მცხეთის რაიონში მუხრანის სარწყავი არხის ქვემოთ მცირე შეფერდებაზეა გაშლილი. რომელი მხრიდანაც უნდა უახლოვდებოდეთ მას, სულ ერთია, შორიდანვე მიიქცევს თქვენს ყურადღებას.

თუ ვინმეს შეუძლია იამაყოს თავისი სოფლის კეთილმოწყობით, სიმდიდრითა და სილამაზით, ეს პირველ რიგში წილკნელებს შეუძლიათ. აგურით ნაშენი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები და ხალჩასავით მოხატული ველ-მინდვრები ამშვენებენ მას. საკოლმეურნეო ფერმებსა და მეფრინველეობის ფაბრიკაზე რომ არაფერი ვთქვათ, სიხარულის გრძნობა დაგეუფლებათ, კულტურის სახლის შენობას რომ იხილავთ. მართალია ის ჯერ დაუმთავრებელია, მაგრამ ასეთ სასახლეზე უარს არც დიდი ქალაქის მშრომელები იტყოდნენ.

ხოლო მთავარი და უპირველესი, რითაც უნდა იამაყონ ამ ძველისძველი სოფლის მშრომელებმა, ეს არის ახალი ადამიანები, შრომისმოყვარე და გულმართალი კოლმეურნეები. ხომ გაგიგონიათ, ყველაზე უჩინარი სოფელიც კი მთელ ქვეყანაზე გაითქვამს სახელს, თუ იქ სახელოვანი ადამიანი დაიბადებათ.

დიახაც რომ ჩვენს რესპუბლიკაში სახელგანთქმული ადამიანები ჰყავს წილკანს. ვის არ გაუგონია დოდო ქიტუაშვილის, სადიკო ქავთარაძის და სხვათა სახელები, რომლებიც აგერ რამდენი წელია რძის წარმოების შესანიშნავ ოსტატებად ითვლებიან და თავიანთი შრომით ასახელებენ სოფელს.

შარშან შემოდგომაზე კიდევ ერთი შექმნა აინთო წილკანში. ეს ახალგაზრდა მესიმინდე ვალიკო კვეზერელია.

...სოფელში საღამო ხანს მივედით. დაღლილი კოლმეურნეები, რომლებსაც მთელი დღე ზვრებში გაეტარებინათ, სახლებში ბრუნდებოდნენ. კოლმეურნეთა ჯგუფი მოგვიახლოვდა. აქ იყვნენ მებოსტნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ალექსი მაკარაშვილი, მესიმინდეთა ბრიგადირი შოთა ხოსიაშვილი და ახალგაზრდა ვაჟკაცი ვალიკო კვეზერელი.

— თქვენზე გვითხრეს, შოფრად მუშაობდა. როგორ მოხდა, რომ მესიმინდეობა დაიწყეთ? — შეეკითხე ვალიკოს.

— ეგ ცოტა გრძელი ამბავია.

— როგორი შრომითი მაჩვენებელი გქონდათ შარშან?

— შარშანწინ 0,75 ჰექტარი ფართობი მეგარა და 8,5 ტონა სიმინდი მივიღე, შარშან კი სულ ერთ ჰექტარ ფართობზე 110 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანე.

საუბარში ბიძინა ჩოლონდრიშვილი ჩაერია:

— ისეთი ყანა ჰქონდა ვალიკოს, გეგონებოდთ, გაუვალი ტყეაო, როგორც მხედავთ, დაბალი კაცი არა ვარ, მაგრამ მეც ხელები დამაწყდა ტაროების ტეხაში.

— წელს რაღას აპირებთ? — შეეკითხე ვალიკოს.

— წელს ჰექტარზე 120 ცენტნერ სიმინდს მოვიყვან.

შემდეგ ვალიკომ თავისი ცხოვრების ამბავი მოგვითხრო. ვალიკომ, კომკავშირისა და ჩვენი საზოგადოების მიერ აღზრდილმა ადამიანმა, ეაქკაცურად გადალახა ყოველგვარი სიძნელე და შრომა სრულად გამოეჩინა თავისი ნიჭი და უნარი. მისი დავაქკაცება ერთგვარად ფოლადის წრთობას ჰგავს.

...თვითონაც არ ახსოვს, როდის იგრძნო თავი ოჯახის უფროსად და პატარა და-ძმების წინამძღოლად. ეს ალბათ შემოდგომის იმ დღეს მოხდა, როცა მან დედა დაკარგა, თორმეტი წლისა იყო მაშინ ვალიკო კვეზერელი და, მიუხედავად ამისა, ოჯახის წევრები მაინც თავკაცად თვლიდნენ.

ერთ უბედურებას მეორეც დაერთო. კარგა ხანს უმალავდნენ ბავშვებს სამამულო ომის ფრონტზე, სევასტოპოლთან მამის დაღუპვის ამბავს.

ასე დამთავრდა ბავშვობის წლები. თორმეტი წლისა უკვე შრომის ფერხულში იყო ჩაბმული. სოფელში დარჩენილ მოხუცებთან და დედაკაცებთან ერთად თოხნიდა, ხნავდა, ბაბოს ეხმარებოდა, შრომაში იწრთობოდა, ისე როგორც სახნისი იწრთობა გაკვარცხლებულ ქვაში. როცა სამამულო ომი დამთავრდა ვალიკომ შოფრად ვახდომა მოისურვა და კოლმეურნეობის ავტომძღოლს სვიმონ გოგიჩაშვილს მიმართა თხოვნით აეყვანა თავის თანაშემწედ.

მის შემდეგ მაზუთით გამურული პატარა ბიჭი ზამთარ-ზაფხულ ავტომანქანის კაბინაში თუ ძარაში ‘მჯდომი დაჰყვებოდა ძია სვიმონს და გულდასმით სწავლობდა ავტომანქანის მართვას, მის მოვლა-პატრონობას.

თანდათანობით ტანი აიყარა ობოლმა ბიჭმა, ბეჭებში გაიშალა. ერთ მშვენიერ დღეს სვიმონ გოგიჩაშვილმა მხარზე ხელი მოუთათუნა და ალერსით უთხრა:

— აღარ შეგფერის შოფრის თანაშემწეობა, დროა შენ თვითონ მართო მანქანა. დამოლაცნიხარ, შენ მარჯვენას ყოველთვის სწორად ემუშაოს.

კოლმეურნეობის ავტომანქანა ჩაბარეს ვალიკოს, დღედაღამ დაჰქროდა მცხეთის, წილკნისა და საგურამოს გზებზე, გადაჰქონდა ტვირთი ორაგვის, ქსნისა თუ მტკვრის ხეობებში. თავმჯდომარე კმაყოფილი იყო მისი შრომით, ავტომანქანას თვალისჩინივით უფრთხილდებოდა.

ამასობაში დაქმანი წამოეზარდნენ ვალიკოს, ყველამ თავისი საქმე მოძებნა, ჩიტებივით სხვადასხვა მხარეს გაფრინდნენ. ქაბუკი კვეზერელის გულშიც ერთ მშვენიერ დღეს სიყვარულის გრძნობამ ჩაიბეჭდა და რამდენიმე ხანში მთელი მისი არსება შეიპყრო.

ეს ამ შვიდი-რვა წლის წინათ მოხდა სოფელ მუჰადიჯვარში, წილკნის გადაღმა ნარეკვავის ხეობაში რომ მდებარეობს. იქ გაიცნო მან ღუდუშაურიანთ ქალიშვილი, რომელსაც სამუდამოდ დაუკავშირა თავის ბედი.

ცაზე ვარსკვლავები იბადებიან, დედამიწაზე ახალი ოჯახები. დაიბადა კვეზერელიანთ ახალი ოჯახიც. ასე გამოცხვა ობლის კვერი. ვალიკო ახლა, როგორც იტყვიან, ცოლშვილში გამართული კაცია. მისი ბედნიერების საფუძველია შრომის სიყვარული, მისთვის შრომა ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი, ბური.

ბედნიერ ოჯახებს ეკერდა ვალიკო. ბევრ ჩინებულად მართველ, საფუძვლიან სახელისო კაცად. მეზობლებს უყვარდათ თავაზიანი, მუდამ მორცხვად მოღიმარი ვაჟკაცი. ვინ მოთვლის რამდენი [illegible] ... ერთ ოთახ სოფელში ხმა დაირხა, [illegible] ... ობის ჯამგეობისათვის უთხოვია, სასიმინდე ნაკვეთი მოიზომეთო.

ბევრმა არც დაიჯერა — შოფრობაში გაჩვეული კაცი სიმინდის მოყვანასს გულს ვერ დაუდებსო, მაგრამ როცა ვალიკოს ნარეკვავის ნაპირას, ტყის ბოლოს ნაკვეთი ჩაბარეს და ხალხისთვის შეუდგა შრომას, სოფელში მითქმა-მოთქმა შეწყდა.

თვითონ ვალიკომ თავისი ნაბიჯი ასე ახსნა:

— ავტომძღოლობა ჩემი საყვარელი ხელობაა და მე ის საბოლოოდ არ გადამიგდია, მხოლოდ ბოლო ხანს მომწყინდა ზოგიერთის ლაპარაკი: — ეე, შვილოსა, რა გიჭირთ შოფრებს, ზბარათ და დასეირნობთ, აბა ერთი თოხი და ბარი სცადეთო.

ზოგი „ხალტურაზეც“ კი ჩამოაგდებდა საუბარს, თუმცა „ხალტურის“ და წაგლეჯის მოყვარული არა გახლავართ. ასე იყო თუ ისე, ერთ საღამოს გადაწყვიტე მეზობლების ყვერდით სიმინდის ყანა დამეშენებინა. ეს განზრახვა სისრულეში მოვიყვანე და ახლა არც ვნანობ...

შარშან გაზაფხულზე ტრაქტორისტი ვასიკო ზაქარაძე სიმინდს რომ თესავდა, ვალიკო კვეზერელი თავის ნაკვეთს არ შორდებოდა. გულდასმით ამოწმებდა თესვის ხარისხს, შექანიზატორისათვის საწყენი იყო, რომ წილკანში არ ხორციელდებოდა სიმინდის მოყვანის მექანიზაცია. თესვა წარმოუდგა მხოლოდ მწკრივად, მაგრამ მაშინ სხვა გზა არ იყო. თესვის წინ ვალიკომ ნაკვეთში ორგანული სასუქი შეიტანა. მერე, როცა სიმინდი ამოიწვერა, ფოსფორით გამოკვება. თავის დროზე ნათესი მორწყა და გამოუხშირა. ორჯერ საგულდაგულოდ გათოხნა.

შემოქმედებითი შრომის იმ დღეებში ვალიკოს ხანდახან პატარა შვილიკო მიჰყვებოდა ყანაში. ბავშვი ცელქობდა, ყანის სიღრმეში იმალებოდა და ვალიკო სერიოზულად შიშობდა, ე ბალი ამ ტყესავით უღრან ყანაში არ დამეკარგოსო.

დადგა შემოდგომა. სიმინდმა მომყვანი ასახელა.

... ვუსმენდი ვალიკოს აუჩქარებელ საუბარს და მაგონდებოდა სადღაც გაგონილი სიტყვები, ოდესღაც რომ უთქვამს გულგატეხილ კაცს: ცხოვრება ბნელი ღამეა და თვითეული თავისთვის ანათუსხო. არა, თავისთვის კი არა, ხალხისათვის, ქვეყნისათვის ანთებენ ჩვენს დიად სამშობლოში კვეზერელიანთნა შუქურები. დიდია მათი მაგალითს ძალა, მათი შრომის მადლი და ბარაქა.

გვიან ღამით ერთმანეთს დავშორდით. კვეზერელი შინისაკენ გაეშურა, სადაც საყვარელი ცოლშვილი ელოდა, ჩვენ კი დიდხანს ვუცქერდით ელექტრობით გაჩირაღდნებულ მცხეთის სოფლებს და ვფიქრობდით ვალიკოსთანა ადამიანებზე, რომლებიც სადაც უნდა იყონ, შრომის რომელ უბანზეც უნდა იღვწოდნენ, ცდილობენ თავიანთი შრომის კეთილი კვალი დატოვონ დედამიწაზე, ამოადუღონ მარგალიტი — გმირული შემართების ღირსეული ნაყოფი.

ა. თომაძე.

* * *

ხურათებზე: ვ. კვეზერელი.

ქვიშხეთელთა სიტყვა

ქვიშხეთის მეგობარ-ნეობა-მერძეთეობის საბჭოთა მეურნეობამ 1961 წელი კარგი შრომითი მაჩვენებლებით დაამთავრა. გადაბარებებით უმჯობესულთ რძის, ხორცის, სიმინდის, ბოსტნეულის, ყურძნის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმა. სწორედ ამან გაჯაპირობა, რომ ორ ბრიგადას, რომლებსაც კომუნისტები ალექსი გლიაძე და თეოდორე ზუმბაძე ხელმძღვანელობენ, კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდება მიენიჭათ.

1962 წელი შრომისა და გმირობის წელია, იგი ბევრ რაზეს გვავალებს. ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებსაც გადაწყვეტილი აქვთ ვალში არ დარჩნენ და იბრძოლებენ იმისათვის, რომ საუალოდ ჰექტარზე მიიღონ 40-45 ცენტნერი სიმინდი, 130 ცენტნერი ბოსტნეული, 55 ცენტნერი ყურძენი, 40 ცენტნერი ხილი და სხვ. თვითეულ საფუძველზე ძროხაზე მივიღებთ 1.800 კილოგრამ რძეს, 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ვაწარმოებთ 13 ცენტნერ ხორცს. ასეთია ჩვენი ვალდებულებები.

გ. დარსაველიძე,
ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობის № 1 აგროგანყოფილების პარტბიუროს მდივანი.

ტრაქტორი რომ მეტყველებდეს...

ლიახვის ხიდს რომ გადახვალ, ხეხილის ბაღებისაკენ მიმავალ ბილიკს გაჰყვები და მარცხნივ მოგრძო ფარდულს შეამჩნევ, მაშინვე იფიქრებ—ეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესანახი ადგილი უნდა იყოსო. მართლაც ასეა. ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუისის კოლმეურნეობას ადრე უფიქრია, აქ ფარდული აუშენებია. იგი ნამდვილად ესაჭიროება სოფელს. კოლმეურნეობას ხომ ექვსი ტრაქტორი, ამდენივე სატვირთო მანქანა და სხვა მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა აქვს! მართალია, ფარდული გაკეთეს, მაგრამ როგორ ინახება აქ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა?

დგას ეს ფარდული სიმინდის ტაროთი და ჩალით გაჭედილი, მუხლამდე ტალახით გარემოსილი, ნახევრად მინგრეული და გაპარტახებული.

ფარდულის წინ, ფართო მოედანზე რკინის გორებია. ჰყრია დაჟანგული გუთნები. საოშები, ზიგზაგები, მზისგან სალებავშეცვლილი ბაღის საწამლი აპარატები. ახლად მიღებული კომბაინი „სკ-3“...

—ავტომანქანები სადღაა? — შეეკითხეთ გზის პირას გამოსულ კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელს მიხეილ მამიტოვს.

—ყველა მძღოლს ავტომანქანა თავის ეზოში უყენია.

—მერე, ფარდულები აქვთ?

—საიდან, ისინი როგორ ააშენებენ ფადრულებს.

—მაშ ღია ცისქვეშ უდგათ მანქანები?

— დიახ, ღია ცისქვეშ.

ასე მსჯელობდა თავჩაღუნული, კოლმეურნეობის გამგეობაზე განაწყენებული მიხეილ მამიტოვი.

ბრაზობდა მიხეილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ირაკლი ბეზოვის უპასუხისმგებლობაზე, ბრაზობდა პირდაპირ და დაუფარავად, ვერ მოეთმინა ტექნიკისადმი ასეთი უდიერი დამოკიდებულება.

...სოფელ ქსუისის მეზობლად დმენისის კოლმეურნეობა მდებარეობს. სოფელი, ისევე როგორც ქსუისი, მდიდარია ხეხილის ბაღებით. მათ ყველა შესაძლებლობა აქვთ საუკეთესოდ შეინახონ და მოუარონ ტექნიკას. კოლმეურნეობაში ადრე შეიქმნა სატრაქტორო ბრიგადა. მასაც მამიტოვი ხელმძღვანელობს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას აბრამი ჰქვიან. ბრიგადის ხელმძღვანელი ვერ დაიტრაბახებს ტექნიკისადმი მზრუნველობას. ორი წლის წინათ აგებული პატარა ფარდული მინერალური სასუქებით არის სავსე. მის წინ კი ცისქვეშ დგანან თელებშემოცლილი ავტომანქანები, ჟანგმოდებული კომბაინი, სხვადასხვა მარკის ტრაქტორები, მწყობრიდან გამოსული სათესები და საოშები.

დმენისის კოლმეურნეობა ჯერაც არ შესდგომია სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მინაილ გაგიევი თავს ამით იმშვიდებს, რომ საწესი მასალები შემოტანილია და ფარდულის მშენებლობას მალე დავიწყებთო. მაგრამ დმენისელებს ერთხელ და ორჯერ როდი მოუღიათ საშენი მასალა, ფარდულები კი არსად ჩანს.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისადმი ასეთი დამოკიდებულება დიდ ზარალს აყენებს კოლმეურნეობას. ყოველწლიურად ასეულ ათასობით მანეთი იხარჯება თოვლისა და წვიმისაგან გაფუჭებული მანქანებისა და ინვენტარის რემონტზე. ხშირია შემთხვევები, როცა ერთხელ შეკეთებული მანქანები მეორედ შესაკეთებელი ხდება მინდვრის სამუშაოებზე გასვლამდე.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლასა და პატრონობაში სამარცხვინოდ ჩამორჩებიან ცხინვალის რაიონის ბელოთისა და ზოგიერთი სხვა სოფლის კოლმეურნეობები.

ტრაქტორებს და კომბაინებს რომ მეტყველება შეეძლოთ, ისინი კიდევ ბევრ რამეს იტყოდნენ უდიერ პატრონებზე.

ი. თედიაშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საუბარი კარგ ადამიანებზე

ბრძოლაში ნაწრთობი მეგობრობა

ქალაქ ტორნაუსათვის ცხარე ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა ქართველი პოლკოვნიკი გაგუა. ჩეხოსლოვაკიის მთები მას საქართველოს მწვერვალებად ეასახებოდა. მკვიდრთა სტუმართმოყვარეობა კი თვისტომებს გულკეთილობას მოაგონებდა. იბრძოდა ვაჟკაცი დვორეკაკსა და სმეტანას მიწა-წყალზე. ომობ და თავგამეტებით, რადგან ჩეხოსლოვაკიელების იარა თავისი მშობელი ხალხის საკუთარ ჭრილობად მიაჩნდა. გაგუა ძმიმედ დაიჭრა. როდი გმინავდა. პოლკოვნიკის გამამხნევებელი საქიელის მოწმე გახდა ექიმი ბიძინა ყიფიანი.

— ბიჭებო, სიცოცხლე არ დაიშუროთ საშობლოს თავისუფლებისათვის! — ეს იყო პატრიოტის უკანასკნელი სიტყვები. ეს სიტყვები მაღალი მორალისა და კაცურ-კაცობის ნიმუშად ყღერს იოზეფ ჭროზიენჩიკის წინასტყვაობაში, რაც წამძღვარებული აქვს წიგნს „ისინი იბრძოდნენ ჩვენი თავისუფლებისათვის“, რომელიც ბრატისლავაში გამოუშვა „სვეტ სოვეტუს“ გამომცემლობამ. მასში დაბეჭდილია ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილეთა მოგონებანი. რუს, უკრაინელ, სომეხ და სხვა ავტორებთან ერთად სლოვაკ მკითხველს ბრძოლათა ეპიზოდებს უამბობს სამი ქართველი მეომარი.

ამ წიგნიდან ვიგებთ, რომ ზესტაფონელ ბიძინა ყიფიანს დიდმა სამამულო ომმა კურსკის სამედიცინო ინსტიტუტში მოუსწრო. ინსტიტუტი ალმა-ატაში გადაიტანეს. ქართველი სტუდენტი სწავლობდა კიდევ და ჰოსპიტალშიც მუშაობდა. 1943 წელს ინსტიტუტი დაასრულა და ფრონტს მიაშურა. აბჯარასხმულმა ილაშქრა ბელორუსიისა და უკრაინის ველებზე. მტერი განდევნა

პოლონეთიდან და რუმინეთიდან, უნგრეთიდან. ჩეხოსლოვაკების მხარდამხარ იბრძოდა, მათ მიწაზეც ანადგურებდა მტერს. მონაწილეობა მიიღო ჩეხოსლოვაკიის მრავალი ქალაქისა და სოფლის განთავისუფლებაში.

იოზეფ ჭროზიენჩიკის მიერ ‘ზემოთ მოყვანილი ეპიზოდი ბიძინა ყიფიანის საინტერესო მოგონების ერთ-ერთი შტრიხია. შეუძლებელია აუღელვებლად



წაიკითხოთ მისი ნაამბობი გორელ ეკონომისტზე — დავით მზედლიშვილზე და სხვა მეომრებზე, რომელნიც დევიჩანის მიდამოებში მუსრს ავლებდნენ მტერს.

წიგნში 13 გვერდი უკავია ბორჯომელ ვალერიან კონსტანტინეს-ძე აბულაძის ნაშრომს. იგი პარტიზანების ცხოვრებასა და ბრძოლაზე მოგვითხრობს. მოგონებათა მესამე ქართველი ავტორი იასონ ერასტეს-ძე ნაჭყებია კი პოლაშის მთებში, ნიტრასა და ვაჰას ნაპირებზე, განადიდებდა თავისი მშობელი მხარის საბრძოლო ღირსებას.

ამ დღეებში ბიძინა ყიფიანმა წიგნი „ისინი იბრძოდნენ ჩვენი თავისუფლებისათვის“ ზეს ტაფონში მიიღო. „იგი ჩემი ოჯახის დიადი რელიკვიაა, რადგან ასე დაეფასა მოძმე ჩეხოსლოვაკმა ხალხმა ქართველების წვლილი მათი მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“, — სიხარულით წარმოთქვა მან. მაგრამ ომგადახდილისათვის არანაკლებ ძვირფასია ზდენეკ კონჩინის ბარათი, რომელიც მან ბრნოს უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტიდან მიიღო. აი, ისიც:

„პატივცემულო და ძვირფასო ამხანაგო!

ამ დღეებში ბრატისლავაში გამოვიდა ბროშურა „ისინი იბრძოდნენ ჩვენი თავისუფლებისათვის.“ მასში თქვენი მოგონებაც არის გამოქვეყნებული. ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ პატარა საჩუქარი. ეს წიგნი, — როგორც ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის სიმბოლო, როგორც თქვენდამი და მთელი საბჭოთა ხალხისადმი ჩვენი სიყვარულის გამოვლინების ნიმუში.

თქვენი მოგონება შევიტანეთ აგრეთვე მოგონებათა სქელტანიან წიგნში, რომელიც უფრო გვიან გამოვა. მადლობას გწერავთ ჩვენს მუშაობაში დახმარების გაწევისათვის. ვისწრაფვით, რათა კვლავაც ვიქონიოთ თქვენთან მეგობრული მიმოწერა.

გულითადი და გულწრფელი სალამით თქვენი ზდენეკ ოსხენის-ძე კონჩინი“.

და ექომი ყიფიანი, მოძმე ჩეხოსლოვაკიის მთებში ნამარი ქართველები მზად არიან კვლავაც გაალრმავონ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რაც ძმათა სისხლით არის შემტკიცებული დიდი სამამული ომის დროს. ახალი ბედნიერი წლის დღეებში ისინი გულწრფელი სიყვარულის გრძნობით მოიგონებენ თავიანთ ჩეხოსლოვაკ თანამებრძოლებს და ახალ წარმატებებს უსურვებენ სოციალიზმის მშენებლობაში.

ი. ივანიშვილი.

* * *

ხურათებზე: ბ. ყიფიანი, მარცხნივ ბრატისლავაში გამოცემული წიგნის „ისინი იბრძოდნენ ჩვენი თავისუფლებისათვის“ გარეკანი.

მიწისქვეშა ქარხნის შუქურა

ზაურ ოდიკაძე ხუთი წლის წინათ მოვიდა ქვანახშირის მრეწველობაში სამუშაოდ.

ქვანახშირის მოპოვება ქვესკნელში, ისიც ღრმა ქვესართულებიდან, ძნელი და რთულია. საქმეის არის, რომ მიწისქვეშა სამუშაო ფრონტი არათუ ყოველდღიურად, ყოველ ცელაშიც იცვლება. სანგრევის ხაზი სისტემატურად მოძრაობს, სულ წინ მიიწევს. განუწყვეტელი მოძრაობის, წინსვლის დროს მეშახტეს სულ ახალ-ახალ პირობებში უხდება მუშაობა, მისი გზა ყოველთვის გაუკვალავი, დაუზვრეველია. ამბობენ, სამთო საქმე ხელოვნებაო. ეს სწორია. შახტში მარტო ფიზიკური მიძალებთ ვერაფერს გახდები. ამაში ზ. ოდიკაძე მალე დარწმუნდა, და ამიტომ იყო, რომ დაეწაფა გამოცდილი მეშახტეების გამოცდილების შესწავლას, ჯერ მნგრეველობა შეისწავლა, მერე მებიგისა და გამყვანის პროფესიას დაეუფლა.

ორი წლის წინათ ზაურს საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი ჩაბარეს. ახლა ზ. ოდიკაძე უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადება. მისი ოცნებაა გახდეს სამთო ინჟინერი. გახა ცოტანი არიან ისეთი მეშახტეები, რომლებიც შახტშიც მუშაობენ და უმაღლეს სასწავლებლებშიც სწავლობენ. მარტო საქართველოს სსრ ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ტყიბულის ფილიალში ახლა 200-მდე სტუდენტი—მნგრეველი, მებიგე, გამყვანი და მშენებელი სწავლობს. ბევრნი სწავლობენ ავრეთვე ადგილობრივ სამთო-სამრეწველო სკოლასა და სამშენებლო სასწავლებელში...

...მუშაობის ორი წლის სტაჟიც კი არ ქონდა ზ. ოდიკაძეს, როცა შახტის ხელმძღვ

ა. ი. მიქოიანი გვინეაში

კონაკრი, 5 იანვარი. (საკდესი). დღეს გვინეის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის მიერ გაგზავნილი მეგობრული მოწვევის შესაბამისად კონაკრიში ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიქოიანი.

ა. ი. მიქოიანს ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ლ. ორლოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილენი ა. ი. ალიხანოვი და დ. დ. დეგტიარი და სხვა ოფიციალური პირები.

შეხვედრები დელიში

ორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც აფრიკისა და აზიის ქვეყნების ეკონომიური ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე შეიკრიბნენ ამ ორი დიდი კონტინენტის სახელმწიფოთა სავაჭრო პალატების წარმომადგენლები.

ეს იყო დამფუძნებელი კონფერენცია, სადაც ჩამოყალიბდა აფრიკა-აზიის ქვეყნების ეკონომიური ურთიერთთანამშრომლობის პრინციპები, განხილულ იქნა სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ეკონომიური და ტექნიკური დახმარების გაწევის საკითხები. გარკვეულ იქნა დასავლეთის კაპიტალისტების მიერ შექმნილი საერთო-ევროპული ბაზრისადმი დამოკიდებულება. მას შემდეგ ორი წლის მანძილზე დიდი მოვლენები მოხდა ამ ორი კონტინენტის ხალხთა ცხოვრებაში. რამდენიმე ახალი სუვერენული სახელმწიფო შეემატა აფრიკა-აზიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ოჯახს, მომწიფდა მრავალი ახალი პრობლემა. ამიტომ გადაწყდა მორიგი კონფერენცია ინდოეთის მთავრობის თხოვნით დელიში მოეწვიათ. საბჭოთა კავშირიდან კონფერენციაზე დასასწრებლად გაემგზავრნენ უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სავაჭრო პალატების დელეგაციები.

ტელეგრამა გვატყობინებს

△ **დასავლეთი ბერლინი,** 5 იანვარი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინში გაიხსნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „გერმანული ქალაქების ყრილობის“ პრეზიდიუმისა და მთავარი გამგეობის სხდომა. ამ სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დასახლებათა ბურგომისტრი და კომუნალური პოლიტიკის დარგის მოღვაწე. სხდომის მუშაობაში მონაწილეობს აგრეთვე უცხოეთის 14 წარმომადგენელი.

△ **ბაღდადი,** 5 იანვარი. (საკდესი). 1961 წლის მაისში დაიდო საბჭოთა კავშირ-ერაყის შეთანხმება მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენებისათვის ატომური რეაქტორის მშენებლობის შესახებ. ამ შეთანხმების შესაბამისად ბაღდადში ჩავიდა საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფი.

პარიზი, 6 იანვარი. (საკდესი). ფაშისტი პროვოკატორები საფრანგეთში არ ცხრებიან. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაზე ბანდიტური თავდასხმის შემდეგ ისინი ამ ღამით თავს დაესხნენ კომპარტიის ლილის ორგანიზაციის შენობას. ფაშისტების მიერ აფეთქებულმა ბომბმა დიდი ზიანი მიაყენა შენობას.

მოსკოვი-ტაშკენტი-დელი. ასეთი იყო ჩვენი მარშრუტი ინდოეთისაკენ. ეს მანძილი, რომელიც 8 ათას კილომეტრს აღემატება, რეაქტიულმა ლაინერმა 10 საათში დაფარა. სუსხიანი ზამთარი ტროპიკულმა სიცხემ შეცვალა. 10 დეკემბერს ინდოეთის დედაქალაქ დელიში ჩავედით. დელი ჩრდილოეთ ინდოეთის მდინარე ჯამნას მარჯვენა ნაპირზეა გაშლილი და აქ ორ მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს. ქალაქში ძირითადად განვითარებულია საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობა და ბევრია ამ დარგის საწარმოები. მრავალად არის უმაღლესი და სპეციალური განათლების სასწავლებლები.

ქალაქის ერთი ნაწილი, რომელსაც შახჯანსაბადს ეძახიან, დელის ცოცხალი ისტორიაა. აქ შეხვედით მრავალ ისტორიულ ძეგლს, ციხე-სიმაგრეს, უძველესი არქიტექტურის შესანიშნავ ნიმუშებს; აქ ნახავთ ერთ დროს იმპერიალისტთა ბატონობისაგან გალატაკებულ კვარტალებს. მართალია, განთავისუფლებიდან შემდეგ ბევრი ახალი კვარტალი აშენდა, ინდოელი ხალხის ცხოვრება საგრძნობლად შეიცვალა, მაგრამ წარსულის გადმონაშთების ლიკვიდაცია არც ისე ადვილი საქმეა. სულ სხვა სურათია ახალ დელიში. აქ ლარივით გაჭიმულ, ფართო მოასფალტებულ მაგისტრალებს ამშვენებენ კომფორტული შენობები, ბაღები, სკვერები. აქ უველგან ახალი ცხოვრების სუთქვა იგრძნობა.

კონფერენცია ინდოეთის საზოგადოებრიობის უურადღების ცენტრში იყო. მის მუშაობაში ფართო მონაწილეობა მიიღეს ინდოეთის მთავრობის წარმომადგენლებმა. კონფერენციის მონაწილეებს ვრცელი სიტყვით მიმართა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ.

კონფერენციის გახსნის შემდეგ ჯავაჰარლალ ნერუ სპეციალურად გამართულ სადამოზე ოფიციალურად გაეცნო კონფერენციის უველა მონაწილეს. როდესაც ნერუს საქართველო უსხენეს, მას სახე გაუბრწყინდა. „— თბილისი და განსაკუთრებით რუსთავი, — თქვა ნერუმ, — განსაკუთრებით დამამახსოვრდა. ძალიან მომეწონა ეს ახალგაზრდა, მაგრამ ღონიერი ქალაქი. ჩვენი ბჰილაი ხშირად მომმაგონებს ხოლმე რუსთავს“. შემდეგ ნერუმ სურათი გადაიღო კონფერენციის მონაწილეებთან.

შესვენების დროს გამართულ საუბრებში ნერუმ ხაზი გაუსვა აფრიკა-აზიის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის უდიდეს მნიშვნელობას. მან აღნიშნა, რომ ინდოეთის მთავრობა და რესპუბლიკის საქმიანი წრეები გულწრფელად არიან დაინტერესებულნი აფრიკა-აზიის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის — ორგანიზაციების მუდმივი საბჭოს მუშაობის წარმატებით.

საბჭოს გენერალური მდივნის მოხსენების შემდეგ კონფერენციამ იმსჯელა შიდა ზონალური ვაჭრობის განვითარების, კაპიტალურ დაბანდებათა და ურთიერთდახმარების, ბაზრების, საერთაშორისო საფინანსო-სანაბანკო ორგანოს შექმნის საკითხებზე.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება შესწავლილ იქნას სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო წარმოების დაგეგმვის შესაძლებლობა აფრიკა-აზიის ქვეყნებში, გაფართოვდეს ტექნიკური ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის მასშტაბები, შეიქმნას განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებათა დაგეგმვის კომისიები აფრიკა-აზიის უველა ქვეყნისათვის ცალ-ცალკე.

თოთხმეტი წელიწადი გავიდა, რაც ინდოეთმა გადაიგდო კოლონიური ბატონობის უღელი და დამოუკიდებლად დაადგა თავისი ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის გზას.

გამოფენაზე, რომელსაც დიდი ტერიტორია ჰქონდა დათმობილი, ფართოდ იყო წარმოდგენილი ინდოეთის სამრეწველო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქცია. ყურადღებას იქცევდა ინდოეთის მანქანათმშენებლობის პროდუქცია, ელექტრომოწყობილობა, ფართო მოხმარების საგნები და სხვ.

გამოფენის დამთვალიერებლები დიდი ინტერესით გაეცნენ საბჭოთა კავშირის პავილიონს, სადაც ექსპონირებული იყო ძირითადად მანქანათმშენებლობის ტექნიკის ნიმუშები.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის ნაწარმმა.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ ვიმოგზაურეთ აგრასა და ბომბეიში. იმ დღეებში მთელი ინდოეთი ბობოქარ ზღვას მოგაგონებდათ. ეს იყო გოას, დამანისა და დიუს განთავისუფლების დღეები.

გოა, დამანი და დიუ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში მითვისეს პორტუგალიელმა კოლონიზატორებმა. ინდოეთის მთავრობამ მრავალჯერ სცადა მოლაპარაკებისა და მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტა ეს საკითხი, მაგრამ დასავლეთის იმპერიალისტების მიერ შეგულიანებული პორტუგალიელი კოლონიზატორები არ თმობდნენ თავიანთ პოზიციებს. ინდოეთის მიწის დამანისა და დიუს 700 ათასი მოსახლეობა კოლონიური რეჟიმის უღელქვეშ გმინავდა. ინდოელი ხალხის მოთმინების ფიალა აივსო, და აი 17 დეკემბერს ღამით ინდოეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს თავისი მიწა-წყლის განთავისუფლება იმპერიალისტთა ბატონობისაგან. ინდოეთის ამ მიწაზე თავისუფალი ცხოვრება დამკვიდრდა.

ბომბეიდან სულ რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით ხდებოდა ეს ამბები. ქუჩებში ასეულ ათასობით ინდოელი იყო გამოსული; დემონსტრაციებსა და მიტინგებზე მხარს უჭერდნენ მთავრობის ღონისძიებებს და აცხადებდნენ თავიანთ მზაყოფნას მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. საყოველთაო მოწონებითა და აღფრთოვანებით შეხვდა ინდოელი ხალხი სახეთა მთავრობის მეთაურის ნიკიტა ხერგეს-ძე ხრუშჩოვის მიმართვას ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუსადმი გოას, დამანისა და დიუს განთავისუფლების გამო.

ბალე სამშობლოში დაბრუნების დღეც მოახლოვდა. დიდი კმაყოფილების გრძნობით დავტოვე ეს ქვეყანა, სადაც მოკლე დროში დიდი და საყოფიერი მუშაობა გავწიეთ, ქვეყანა, რომლის ხალხს სურს მშვიდობა, მშვიდობიანი თანაარსებობა და იბრძვის ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის.

რ. ელიგულაშვილი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის თავმჯდომარე.

* * *

სურათებზე: (ზემოთ მარცხნივ) ჯავაჰარლალ ნერუ კონფერენციის მონაწილეებთან და ქალაქ დელის ხედები.

კონფერენციის მონაწილის ჩანაწერებიდან

განსაკუთრებით დამამახსოვრდა. ძალიან მომეწონა ეს ახალგაზრდა, მაგრამ ღონიერი ქალაქი. ჩვენი ბჰილაი ხშირად მომაგონებს ხოლმე რუსთავს“. შემდეგ ნერუმ სურათი გადაიღო კონფერენციის მონაწილეებთან.

შესვენების დროს გამართულ საუბრებში ნერუმ ხაზი გაუსვა აფრიკა-აზიის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის უდიდეს მნიშვნელობას. მან აღნიშნა, რომ ინდოეთის მთავრობა და რესპუბლიკის საქმიანი წრეები გულწრფელად არიან დაინტერესებულნი აფრიკა-აზიის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის — ორგანიზაციების მუდმივი საბჭოს მუშაობის წარმატებით.

საბჭოს გენერალური მდივნის მოხსენების შემდეგ კონფერენციამ იმსჯელა შიდა ზონალური ვაჭრობის განვითარების, კაპიტალურ დაბანდებათა და ურთიერთდახმარების, ბაზრების, საერთაშორისო საფინანსო-სანაბანკო ორგანოს შექმნის საკითხებზე.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება შესწავლილ იქნას სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო წარმოების დაგეგმვის შესაძლებლობა აფრიკა-აზიის ქვეყნებში, გაფართოვდეს ტექნიკური ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის მასშტაბები, შეიქმნას განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებათა დაგეგმვის კომისიები აფრიკა-აზიის უველა ქვეყნისათვის ცალ-ცალკე.

ოთხმეტი წელიწადი გავიდა, რაც ინდოეთმა გადაიგდო კოლონიური ბატონობის უღელი და დამოუკიდებლად დაადგა თავისი ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის გზას.

გამოფენაზე, რომელსაც დიდი ტერიტორია ჰქონდა დათმობილი, ფართოდ იყო წარმოდგენილი ინდოეთის სამრეწველო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქცია. ყურადღებას იქცევდა ინდოეთის მანქანათმშენებლობის პროდუქცია, ელექტრომოწყობილობა, ფართო მოხმარების საგნები და სხვ.

გამოფენის დამთვალიერებლები დიდი ინტერესით გაეცნენ საბჭოთა კავშირის პავილიონს, სადაც ექსპონირებული იყო ძირითადად მანქანათმშენებლობის ტექნიკის ნიმუშები.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის ნაწარმმა.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ ვიმოგზაურეთ აგრასა და ბომბეიში. იმ დღეებში მთელი ინდოეთი ბობოქარ ზღვას მოგაგონებდათ. ეს იყო გოას, დამანისა და დიუს განთავისუფლების დღეები.

გოა, დამანი და დიუ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში მითვისეს პორტუგალიელმა კოლონიზატორებმა. ინდოეთის მთავრობამ მრავალჯერ სცადა მოლაპარაკებისა და მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტა ეს საკითხი, მაგრამ დასავლეთის იმპერიალისტების მიერ შეგულიანებული პორტუგალიელი კოლონიზატორები არ თმობ-

ა. ი. მიქოიანი ბომბეიში

ბომბეი, 5 იანვარი. (საკდესი). ინდოეთის ეროვნული ბანკის ეზოში, ინდოეთის ეროვნული ეკონომიკურ ინსტიტუტში, ინდოეთის ეროვნული ეკონომიკისა და

საქართველოს კომუნისტი

CCCP

მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 80 წლისთავისათვის

მამის დარიგება

ერთხელ, მაშინ დაახლოებით ათი წლისა ვიქნებოდი, სკოლიდან გამოვიარე და ერთი პატარა, მაგრამ კოხტა ალბომი ვიყიდე. შინ რომ დავბრუნდი, ჯერ მამას სამუშაო ოთახში შევიხედე. ჩვეულებად მქონდა, პირველად იმ ოთახში ტუნდა შემეხედა. დავინახე, რომ მამა თავის საწერ მაგიდასთან იჯდა და წერდა. ხელი რომ არ შემშალა, კარი ისევ ფრთხილად გამოვიხურე და ჩემს ოთახში შევედი. ხელში ახლად შეძენილი ალბომი ავიღე და თვალიერება დავიწყე. და ამ დროს უეცრად აზრად მომივიდა ახალ ალბომში მამასთვისაც ჩამეწერინებინა რამე. მამას გარდა თითქმის ყველას ჰქონდა ორიოდე სიტყვა ჩემს წინა ალბომში ჩაწერილი. მამასთვის კი ამისთანა თხოვნით ჯერ არ მიმმართია. ასეთი უყურადღებობისათვის ჩემს თავზე ბრაზიც მომივიდა. შეიძლება, ვფიქრობდი, მამამ უკვე შენიშნა კიდეც, რომ მის გარდა მე ყველას ვაწერინებდი ალბომში, მას კი ამისთანა თხოვნით აქამდე ჯერ არ მივმართე. ალბათ ეს ამბავი მას გულში სწყინდა კიდეც. მაგრამ, რომ სწყენოდა, მე დარწმუნებული ვიყავი, მაინც არასოდეს არ მაგონებინებდა და არც მეტყოდა რამეს.

ამ ამბავმა ძალზე შემაწუხა და დამაფიქრა კიდეც. მცირე ხნით გუნებაც გამიფუჭა. მაგრამ თავი იმითლა ვინუგეშე, რომ ახლა საშუალება მეძლეოდა გამომესწორებინა ჩემი შეცდომა და მამას წინაშე დანაშაულიც გამომესყიდა. ამ ამბით გახარებულმა გადავწყვიტე შორს აღარ გადამედო ეს საქმე და ახლავე შევდგომოდი მას. ვატრიალებდი ხელში ალბომს და ვფიქრობდი, ძალზე საინტერესოა, ნეტა ჩამიწერდა რამეს, თუ უარს მეტყოდა. მაინც ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ აუცილებლად ჩამიწერდა. მაგრამ გულის სიღრმეში ცოტა უხერხულობას ვგრძნობდი. ეჭვები რომ გამექარწყლა, ამიტომ საჭირო იყო ეს საქმე დაუყოვნებლივ შემესრულებინა.

დავდე მაგიდაზე ჩანთა და მამაჩემის სამუშაო ოთახის კარი შევაღე. მცირე ხანს ვიდექი ასე. მამა კვლავ განაგრძობდა წერას. მოომძინება აღარ მყოფნიდა დიდხანს ვმდგარიყავი და მეცადა, სანამ დაამთავრებდა მუშაობას.

— მამა, — მოწიწებით მივმართე.

ჩემმა ხმამ მამა ფიქრების სამყაროდან გამოარკვია. თავი მოიბრუნა ჩემსკენ და გაკვირვებული სახით შემომხედა. დამინახა თუ არა, რომ ხელში რაღაც საგანი მეჭირა და მასთან საქმის გამო ვიყავი მისული, კალამი გვერდზე გადადო და ჩემკენ მობრუნდა.

— მამა, ეს-ეს არის ახალი ალბომი ვიყიდე. შენ ხომ ჩემთვის ჯერ არასოდეს არ ჩაგიწერია. მინდა, რომ ამ ალბომის პირველ გვერდზე, სანამ სხვები ჩაწერდნენ რამეს, ჯერ შენ დამიწერო. რაც გინდა, ის ჩაწერე. ჩემთვის სულერთია. ორიოდე სიტყვაც რომ ჩაწერო, ისიც კარგია. პირველი გვერდი შენ გეკუთვნის. ვინახავ კიდეც.

მამას გაეღიმა. შეეატყე, რომ ჩემი თხოვნა ესიამოვნა. ალბომი ხელში აიღო და შეათვალიერა. შემდეგ ალერსიანი თვალებით შემომხედა და მითხრა:

— კეთილი, ჩაგიწერ რამეს. ალბომი დამიტოვე, შენ კი შენს საქმეს მიჰხედე. მოვიფიქრებ და მე თვითონ დაგიძახებ.

მე ჩემს ოთახში გავედი და საწერ მაგიდას მივუჯექი.

დიდ დროს არ გაუვლია, რომ მამას სამუშაო ოთახში ხმაური მომესმა. ვიგრძენი, რომ მამამ სკამი გასწია. წამოდგა და დიხჯი და აუჩქარებელი ნაბიჯით ჩემი ოთახისაკენ წამოვიდა.

— აი შენი ალბომი. უკვე ჩაგიწერე. უყურადღებით გადაიკითხე და ეცადე ყოველ სიტყვას კარგად ჩაუკვირდე. მთავარია აზრი გაიგო. რაც აქ ჩავწერე, ეცადე კარგად დაიხსომო და შეითვისო. იცოდე, ეს შემდგომ ცხოვრებაში გამოგადგება. აბა, შენ იცი.

მე წამოვდექი. მამას მადლობა გადავუხადე. ყელზე მოვეხვიე და მადლობის ნიშნად გადავკოცნე.

ალბომი გადავშალე. პირველ გვერდზე, ორივე მხარეს მამას ლამაზი ხელით ჩაეწერა მთელი ფურცელი. ფურცლის ორივე მხარე შეევსო. ყურადღება გავიმახვილე და შევუდექი კითხვას. ეს რა ეწერა ალბომში:

„შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი.

შენი სამშობლოს მტერი შენი პიროდი. მტერია, ხოლო მისი მეგობარი შენი პირადი მეგობარია,

ყველაფერი რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი.

მიეცი მას წრფელის გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს.

მაინც მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე. ისე იცხოვრე, ვითომ ამ ქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი.

გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით. ზარმაცობა, ცუღლუტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს ადრე თუ გვიან უეჭველად დაღუპავენ.

თავმოყვარეობა შეიძინე და თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადააჭარბებ: არ გამაჟდე.

ბოლოს და ბოლოს ყოველივეს სჯობს სამი რამ: პირველი — შრომა, მეორე — შრომა და მესამე — ისევ შრომა.

ზემონათქვამი დაიხსომე და შეითვისე.

შენი მოსიყვარულე მამა

მიხეილ ჯავახიშვილი.“

ალბომი დაიკარგა. ეს ერთი ფურცელი კი შემთხვევით, ჩვენდა საბედნიეროდ, დაღუპვასა და ქარ-ცეცხლს გადაურჩა.

ქეთევან ჯავახიშვილი.

* * *

სურათზე: სხედან (მარცხნიდან) — ვალერიან გაფრინდაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დემეტრაძე, გერონტი ქიქოძე; დგანან — ირაკლი აბაშიძე (მარცხნივ) და ილო მოსაშვილი.

სურათი გადაღებულია ოცდაათიან წლებში. ქვეყნდება პირველად.

ხელოვნების ქრონიკა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლ. ფესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მორიგ პრემიერად დადგა ი. ვოინოვიჩის ოთხმოქმედებიანი დრამა „გრიგალი“.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულს რეჟისორ-დიალმანტს ა. ეკანიას, მხატვრული გაფორმება — დ. თაყაიშვილს, მუსიკა დაწერა კ. მეღვინეთუხუცესმა.

როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები კ. აბესაძე, ვ. გვინაძე, გ. კოკელაძე, ვ. მეგრელიშვილი, ა. ქელბაქიანი, თ. ღვინიაშვილი, მსახიობები ც. ბერიძე, რ. გოგებაშვილი, ე. დადიანი, თ. ლასხიშვილი, ი. მიქიაშვილი, ე. სვანიძე, თ. სისაური და სხვ.

ასურეთის კულტურის სახლმა მაყურებელს პრემიერად უჩვენა პოლიკარპე კაკაბაძის ოთხმოქმედებიანი კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“.

დადგმა განახორციელა რეჟისორმა ჩ. მეტრეველმა. როლები შეასრულეს ი. მურუსიძემ, ჯ. გოგობერიშვილმა, კ. გორგასლიძემ, ლ. ენუქიძემ და სხვ.

სპექტაკლმა მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

ვ. დვალი.

სასწავლებლის იუბილე

სოხუმის დ. არაყიშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელს არსებობის 30 წელი შეუსრულდა. სკოლამ ამ ხნის მანძილზე აღზარდა მრავალი მუსიკოსი, რომლებიც მოღვაწეობენ როგორც რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მუსიკალური სასწავლებლის 30 წლისთავთან დაკავშირებით სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა საჩვენებელი კონცერტი. მასში მონაწილეობა მიიღეს მუსიკალური სასწავლებლის აღსაზრდელებმა და კურსდამთავრებულებმა, ამჟამად თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტებმა ე. ყალიჩავამ და ი. მებონიამ.

საინტერესო კონცერტი მოაწყო საბავშო ორკესტრმა ა. ჩალდრანინის ხელმძღვანელობით და საბალეტო სკოლის ნორჩმა მოცეკვავეებმა.

ნ. მიქაშავიძე.

„ქართული ენის ლექსიკონი“

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ქართველი მეცნიერის ნიკო ჩუბინაშვილის შესანიშნავი შრომა „ქართული ენის ლექსიკონი“. ეს შრომა, რომლის ხელნაწერები დაცულია თბილისსა და ლენინგრადის არქივებში, დღემდე უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის.

ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ენის ლექსიკონი“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის შემდეგ იყო პირველი განმარტებითი ლექსიკონი, რომელმაც ახალ მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა XIX საუკუნის ქართული ლექსიკოგრაფია.

ქართული სიგარა

ქართული არომატული თამბაქო ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. განსაკუთრებით გაითქვა სახელი „სამსუნისა“ და „ტრაპიზონის“ ჯიშის ქართულმა თამბაქომ, რომლის ექსპორტი ყოველწლიურად ფართოვდება. იგი იგზავნება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, შვეიცარიაში, შვეციაში, არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში და ა. შ.

ამ ჯიშების თამბაქო უმთავრესად მოჰყავთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, ლაგოდეხის, მარნეულის, ბოლნისის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებს.

ქართული თამბაქოსაგან მხოლოდ მაღალხარისხოვანი პაპიროსი და სიგარეტი მზადდება. იგი ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა თამბაქოს ფაბრიკაში იხმარება როგორც არომატული საკუპაჟო ნედლეული.

ამ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ფართოფოთლიანმა სასიგარო თამბაქომ „ჰავანამ“ და „სუმატრამ“, რომელიც გალის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოჰყავთ. გასულ წელს ამ კოლმეურნეობებმა დაამზადეს 80 ტონა ასეთი თამბაქო. იგი გაეგზავნა ქალაქ პოგარის სიგარის კომბინატს.

ამ ჯიშთა გავრცელებისა და მოსავლის ზრდის მიზნით სსრ კავშირის მეთამბაქოობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი „ჰავანისა“ და „სუმატრის“ ჯიშთა გამოცდას აწარმოებს აგრეთვე აჭარის ასსრ ქედის რაიონის საცდელ პუნქტში. პირველი შედეგები კარგია და მალე ალბათ სხვადასხვა მარკის პაპიროსისა და სიგარეტის გარდა პაპიროსის მწეველი შეეძლებათ ქართული სიგარაც იყიდონ.

მოსკოვში, გამოფენაზე

მიდინარე წლის 23-27 იანვარს მოსკოვში ეწყობა აბრეშუმის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო თათბირი და აბრეშუმის ნაწარმის საკავშირო გამოფენა-გასინჯვა. ამ დიდ ღონისძიებას აწყობს სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ასორტიმენტისა და ტანსაცმლის კულტურის ინსტიტუტი.

თათბირ-გამოფენის მიზანია გამოავლინოს საუკეთესო ქსოვილების ახალი ნიმუშები, რომლებიც რეკომენდებული იქნება მასობრივი წარმოებისათვის.

— ჩვენი კოლექტივი ამ თათბირ-გამოფენაზე, — გვითხრა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა გ. ხომასურიძემ, — გზავნის ახალი სახისა და ახალი ქიმიური ტექნოლოგიით დამუშავებული ქსოვილების 85 ნიმუშს.

ამ ქსოვილებიდან გამოირჩევა უფროს დესინატორ ე. სეფიაშვილის საკაბე და საკოსტიუმე ქსოვილები „ნინო“, „თაიგული“, „ვარძია“, დესინატორ ნ. ცერცვაძის „ფასონური კრეპი“, „მნათობი“, „ფანტაზია“ და სხვ.

გარდა ქსოვილებისა, მოსკოვში გაიგზავნება ფაბრიკის მხატვრებისა და კოლორისტების რ. სარალიძის, ა. აბუაშვილის, ვ. კაპანაძის, ი. ნადაშვილისა და სხვების მიერ შექმნილი ახალი სახის ქსოვილების ესკიზები.

ამგზეგი, ცნობები, ფაქტები

„ქართული ფილმი“ 1962 წელს

თანამედროვეობა ეკრანზე

რა ახალ ქართულ ფილმებს ნახავს ჩვენი მაყურებელი 1962 წელს? — ამ კითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორს მ. კვესელავას.

— წელს კინოთეატრების ეკრანებზე გამოშვებული იქნება 8 სრულმეტრაჟიანი მხატვრული, 4 მოკლემეტრაჟიანი და 2 მულტიპლიკაციური ფილმი, — გვითხრა მ. კვესელავამ. — ჩვენს სტუდიაში ქართულ ენაზე დუბლირებულ იქნება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კინოსტუდიებში შექმნილი 40-მდე ფილმი. მაგრამ ჩვენი კოლექტივი ძირითადად მხატვრული ფილმების შექმნაზე მუშაობს.

რვა ფილმი, რომლებსაც წელს ნახავს ჩვენი კინომაყურებელი, უკვე გადაეცა წარმოებას. მთავარი უყურადღება მიაქცია მაყურებელი აქვს თანამედროვეობის თემისადმი მიძღვნილ ფერად, ფართოეკრანიან ფილმს „გენერალი და ზინზილები“, რომელიც ორ სერიად იქნება გამოშვებული. ომისა და მშვიდობის საკითხი, ომის გამჩაღებელთა მხილება, მშვიდობის მომხრეთა უძლეველობა — აი ამ კინოსურათის ძირითადი თემა. ფილმს დგამს სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ჭიაურელი, განსვენებულ ნ. შპანოვის რომანის „გრიგალის“ მიხედვით, ფილმისათვის სცენარი დაწერეს ნ. შპანოვმა და ა. ფილიმონოვმა. ოპერატორია გ. ჭელიძე. ფილმში მონაწილეობენ ქართველი, რუსი, ესტონელი, ლიტველი მსახიობები. ქართველი მსახიობებიდან მონაწილეობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, ს. ჭიაურელი, ლ. ელიავა, ო. კობერიძე, ი. ქოქრაშვილი, დ. ყიფიანი და სხვ.

ფილმის დიდი ნაწილი თითქმის გადაღებულია. ამჟამად შემოქმედებითი ჯგუფი გადაღებებს აწარმოებს პავილიონებში.

ქართველი მეცხვარეების თავდადებულ შრომაზე მოგვითხრობს კინოსურათი „გზები და გზაჯვარედინები“, რომელიც იქმნება ახალგაზრდა მწერალ მ. ელიოზიშვილის სცენარის მიხედვით. ფილმს დგამენ ახალგაზრდა რეჟისორები ე. შენგელაია და თ. მელიავა. მთავარ როლებში მონაწილეობენ ს. ბაღაშვილი, ი. კახიანი და სხვ.

მიმდინარეობს გადაღება კინოკომედიისა „სოფელი ბეჭი“. მას საფუძვლად უდევს ახალგაზრდა მწერალ ნ. დუმბაძის პოპულარული მოთხრობა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ფილმისათვის სცენარი დაწერეს ნ. დუმბაძემ და თ. აბულაძემ. კინოსურათს დგამს რეჟისორი თ. აბულაძე, ოპერატორია ტ. კალატოზიშვილი. ფილმში მონაწილეობენ ს. თაყაიშვილი, ა. ყორეფლიანი, გ. ტუაბლაძე, ახალგაზრდა მსახიობები ს. ორჯონიკიძე, მ. აბაზაძე. ამჟამად ფილმის გადაღება ჯგუფი პავილიონებში მუშაობს, ხოლო თებერვლის პირველ რიცხვებში ბაკურიანში გაემგზავრება.

რეჟისორი ს. დოლიძე მის მიერ დაწერილი სცენარის მიხედვით იღებს ფერად, ფართოეკრანიან ფილმს „პალიასტომის ტბას“, რომელიც ე. ნინოშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მოტივებზეა შექმნილი. ფილმის ოპერატორია დ. მარგიევი. კინოსურათში მონაწილეობენ ს. ზაქარიაძე, მ. წულუკიძე, ზ. ბოცვაძე და სხვ. ამჟამად გადაღება წარმოებს პალიასტომის ტბის რაიონში.

წარმოებაშია აგრეთვე სრულმეტრაჟიანი ფილმი, რომელშიც გაერთიანებულია სამი კინონოველა. პირველი კინონოველის სახელწოდებაა „ალავერდობა“, შექმნილი გ. რჩეულიშვილის მოთხრობის მიხედვით, ფილმის რეჟისორია გ. შენგელაია, მეორე — „მოთხრობა ნივთებზე“, სცენარის ავტორია ე. ახვლედიანი, რეჟისორი ო. იოსელიანი, მესამე — „ერთი დღე სოფლად“ — სცენარი რ. ინანიშვილისა, რეჟისორი — მ. კოკოჩაშვილი.

მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს ო. იოსელიანის ცნობილი მოთხრობის „ვარსკვლავთცვენის“ ეკრანიზაციისათვის. ფილმს დადგამს რეჟისორი ო. აბესაძე. მოსწავლე ახალგაზრდობის ცხოვრებას ასახავს ფილმი „ცეროდენა ინდიები“. ფილმის სცენარის ავტორია ე. ყიფიანი, რეჟისორები — გ. წულაია და ნ. ნენოვა.

მოკლემეტრაჟიანი ფილმებიდან აღსანიშნავია ფერადი ფართოეკრანიანი კინოსურათი „ზღვის ბილიკი“. მას დგამს რეჟისორი რ. ჩხეიძე. მულტიპლიკაციურ ფილმებზე მუშაობენ რეჟისორები ა. ხინთიბიძე და ვ. ბახტაძე.

წელს წარმოებას გადაეცემა აგრეთვე ექვსი ახალი ქართული ფილმი, რომლებსაც მაყურებელი 1963 წელს იხილავს. ერთი მათგანი უკვე დამტკიცებულია. ეს არის - მხატვრული ფართოეკრანიანი ფერადი ფილმი „ეთერიანი“. რეჟისორად მოწვეულია ი. თუმანიშვილი. ფილმის მხატვარია ს. ვირსალაძე, კომპოზიტორი — შ. მშველიძე.

ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივის მთავარი მიზანია შეავსებინათ ფილმები თანამედროვეობის თემაზე. შევქმნათ ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც ასახული იქნება კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, მათი შრომა და საქმიანობა, მათი ოცნება და მისწრაფება.

* * *

სურათებზე: კადრები ფილმებიდან „გზები და გზაჯვარედინები“ (ზემოთ), და „გენერალი და ზინზილები“.

ᲗᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ.

ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

დიდი კონცერტი

პროფესორის მძლავრი სხივებით გაჩირაღდნებულია სპორტის სასახლის სცენის მოედანი. ყურს კომპოზიტორ რ. ლაღიძის პოპულარული მელოდია „სიმღერა თბილისზე“. სიმღერა მიწყდა და სცენაზე გამოჩნდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. მანჯგალაძე და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კ. მახარაძე. იწყება კონცერტი „საახალწლო სურვილები“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის შეხვედრის ქართული ხელოვნების მოღვაწეებთან და სპორტსმენებთან, რომლებიც დაბრუნდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

პოეტი ი. ნონეშვილი მათ შთაგონებულ ლექსს უძღვნის. თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ზ. რუსია გულთბილად მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს.

გაისმის ქართული საცეკვაო მელოდია, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. სუხიშვილი დამსწრეებს უამბობს საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის წარმატებაზე, აცნობს სკანდინავიის ქვეყნებში საგასტროლო მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

პიანისტმა მ. გოგლიძე-მდივანმა შთაგონებით შეასრულა შოპენის ეტიუდი.

თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი ა. ღოღობერიძე მაყურებლებს უამბობს დინამოელთა ბრწყინვალე ტურნეზე ლათინურ ამერიკაში. კონცერტის წამყვანებმა მაყურებლებს წარუდგინეს ლათინური ამერიკის ვიქტორიის მონაწილენი შ. იამანიძე და მ. მესხი.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელმა ო. ქორქიამ მაყურებლებს გაუზიარა შთაბეჭდილებანი ევროპის ჩემპიონატების თასის გთამაშების შესახებ.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ბალავაძემ მაყურებლებს უამბო იმაზე, თუ როგორ მოიპოვეს თავისუფალი სტილის ქართველმა მოჭიდავეებმა პირველი გუნდური ადგილი ჩვენს ქვეყანაში.

— ვეცდები გავამართლო თქვენი იმედი, — თქვა ნ. გაფრინდაშვილმა მაყურებელთა გულითადი მისალმების ჰასუხად. პ. კობახიძემ წაიკითხა ნიჭიერი მოჭადრაკისადმი მიძღვნილი ლექსი.

კონცერტის წამყვანებმა საზოგადოებას წარუდგინეს თბილისში სტუმრად მყოფი მოსკოვის „ტორპედოს“ პოპულარული ფეხბურთელი ს. მეტრეველი.

საკუთარი ლექსი წაიკითხა იუმორისტმა ავტორმა — რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ე. აფხაიძემ. (საქდესი).

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲒᲐᲠᲐ

გურჯაანული ღვინოები საზღვარგარეთ

გურჯაანი. (საკ. კორ.). მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ტაშკენტი, ხაბაროვსკი, გაქო — ჩვენი ქვეყნის რომელი ქალაქის მშრომელს არ უზმენია გურჯაანული ღვინო. შარშან ასეული ათასობით დეკალიტრი № 3, 5, 8 და 23 მარკის ღვინო გაიგზავნა სხვადასხვა მისამართით.

გურჯაანული ღვინოები იგზავნება საზღვარგარეთაც. ამ მოკლე ხანში გურჯაანის ღვინის ქარხანამ ჩეხოსლოვაკიაში 78 ათასი დეკალიტრი მაღალხარისხოვანი ღვინო გაგზავნა. ინგლისში გაიგზავნა 2.500 დეკალიტრი „გურჯაანი № 3“.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲡᲛᲘᲡᲚᲝᲕᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲐᲛᲒᲔᲒᲘ

დაიხურა ჰასტინგსის ტურნირი

მოსკოვი, 5 იანვარი. (საკდესი). საკდესის ჭადრაკის მომმხილველი მსოფლიო ექს-ჩემპიონი ვასილ სმისლოვი თავის აზრს გამოთქვამს იმ დიდოსტატებზე, რომლებსაც აქვთ უმეტესი შანსი შევიდნენ მომავალი სტოკჰოლმის ზონალური ტურნირის გამარჯვებულთა ექსკლუზიურში.

23 მონაწილიდან სმისლოვი უპირატესობას აძლევს ვიქტორ კორჩნოის (სსრ კავშირი), სვეტოზარ გლიგორიჩს(იუგოსლავია), რობერტ ფიშერს (ამერიკის შეერთებული შტატები).

ოთხი საბჭოთა მონაწილიდან — დიდოსტატები გელერი, კორჩნოი, პეტროსიანი და ოსტატი შტეინი, წერს სმისლოვი, მინდა გამოვყო სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონი ვიქტორ კორჩნოი. კორჩნოი, რომელსაც დიდი ნიჭი და ტექნიკური ოსტატობა აქვს, გამოირჩევა აგრეთვე იშვიათი საბრძოლო თვისებებით.

უცხოელ ევროპელ მონაწილეთაგან ესოდენ ძნელი საჭადრაკო „მარათონისათვის“, ჩემი აზრით, ყველაზე მომზადებულია იუგოსლავიის ჩემპიონი სვეტოზარ გლიგორიჩი.

სმისლოვი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ჰასტინგსის საერთაშორისო ტურნირში გლიგორიჩმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის ბოტვინიკის წინააღმდეგ თამაშობდა, 104-ე სვლაზე მიაღწია საპატიო ყაიმს. და ეს შედეგი მოწმობს იუგოსლავი დიდოსტატის ჩინებულ სატურნირო თვისებებს.

სმისლოვის აზრით, ჩვენი დროის ყველაზე მრავალს აღმთქმელი ტალანტია ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი 18 წლის რობერტ ფიშერი. უკანასკნელ ორ წელიწადში ჰაბუკი დიდოსტატი საოცრად სწრაფად მიუახლოვდა საჭადრაკო ოლიმპოს. ფიშერის მიღწევები ბლედის საერთაშორისო ტურნირზე (1961 წელი), რომელშიც იგი თამაშობდა ჩვენი ოთხი დიდოსტატის — ტალის, კერესის, პეტროსიანისა და გელერის წინააღმდეგ და მოაგროვა 3,5 ქულა, თავისთავად ბევრ რამეს მეტყველებს.

ცხადია ერთი — სტოკჰოლმის ტურნირზე ყველა მისი მონაწილე იბრძოლებს გამარჯვებისათვის, ეს იქნება, როგორც უწოდებენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. წარმატების შემთხვევაში შეიძლება პრეტენზია იქონიონ მსოფლიო ჩემპიონთან მატჩზე.

ᲖᲣᲔᲜᲙᲝᲡ ᲢᲧᲣᲐᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲜ

ნოვოსიბირსკი, 5 იანვარი. (საკდესი). აკადემიის მშენებლობის ხელოსანი პეტრე ზაქარიასძე ზუენკოს ოჯახმა დღეს აღნიშნა სასიხარულო ამბავი: შესრულდა ერთი წელი, რაც მისმა ცოლმა შობა ოთხი ტყუპი გოგონა.

დედასა და ბავშვებზე მუდმივი სამედიცინო დაკვირვება წარმოებდა. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშენებლობის ადმინისტრაციამ მზრუნველობა და ყურადღება გამოიჩინეს ზუენკოს ოჯახისადმი: მათ მიეცათ კეთილმოწყობილი ბინა, ახალი ავეჯით გაწყობილი. ბავშვებს უელის ორი ძიძა.

დები ზუენკოები — ნადია, ვერა, ლუბა და ტანია იზრდებიან ჯანსაღი, მხნე, თავს ჩინებულად გრძნობენ. კარგად გრძნობს თავს მათი დედაც ნინო იაკობის ასული, რომელიც ფიქრობს მალე გავიდეს სამუშაოდ. იგი, ისევე როგორც ქმარი, პროფესიით მშენებელია.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

7 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დონ-კიხოტი (დღისით), ტრავიატა (საღამოს, მე-8 აბონ. მე-7 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ლალატი (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — აფროდიტეს კუნძული (დღისით), ოქროს კაცი ბეწვის ხიდზე (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — მესამე სიტყვა (დღისით და საღამოს).

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ: 12.00 — ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად, 12.15 — პიონერთა სასახლის თოჯინების თეატრი სტუდიაში, 12.55 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი დიუიმი“. 18.15 — მხატვრული ფილმი „რაფსოდია“, 19.35 — გადაცემა გამოცხადდება ცოლკე.

ᲣᲪ 03902

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ჰოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

მეცნიერება და ტექნიკა

„ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲘ“

მეშახტეზე უკეთ არავინ იცის, თუ რას ნიშნავს „ქვანახშირის მოულოდნელი ჩამონგრევა“. მრავალი წლის მანძილზე მას თან სდევდა რთული მიწისქვეშა მეურნეობის ნგრევა, არცთუ იშვიათად ადამიანთა მსხვერპლიც.

შეიძლება თუ არა შახტებში ქვანახშირის ჩამონგრევის დროის წინასწარ დადგენა და მეშახტეთა გაფრთხილება? აი ამ მიზნით დონეცკის შახტ „იუნი კომუნარში“ შეიქმნა მსოფლიოში პირველი სეისმურ-აკუსტიკური სადგური. ამაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ 1956 წელს დაიწყო უეცარი ჩამონგრევის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ჩამოყალიბებული კომისიის სხდომაზე. ჯერ კიდევ მაშინ მეცნიერთა ჯგუფი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ანციფეროვის ხელმძღვანელობით მუშაობდა ქვანახშირის ფენების მოსასმენი ხელსაწყოს შექმნაზე. ასეთი ხელსაწყო შეიქმნა. მას უწოდეს გეოფონი ანუ „ელექტრული ყური“.

გამოცდილი მეშახტეები დიდი ხანია ამჩნევდნენ, რომ ჩამონგრევის წინ ძლიერდებოდა ე. წ. „სროლა“, რაც გამოწვეული იყო მიწისქვეშა მასების გახლეჩით. მაგრამ ასეთი პროგნოზები, რომლებიც სუბიექტურ მოსაზრებებზე იყო დამყარებული, ან დაგვიანებული იყო ხოლმე ან მეტად ნაადრევი. და აი სწორედ აქ გამოჩნდა გეოფონის — თავისებური ელექტრული ყურის მნიშვნელობა. იგი მექანიკურ რხევას, რაც წარმოიშობა მთის ქანებში, გარდაქმნის ელექტრულ სიგნალებად, რომლებიც ჩვეულებრივი მაგნიტოფონით იწერება ფერომაგნიტურ ფირზე. ახლა საოპერატოროში დღეღამის განმავლობაში მაგნიტოფონებზე იწერება ყველაფერი, რასაც გეოფონი ლავიდან მიწის ზედაპირზე გზავნის.

ოპერატორმა მოსასმენად ჩართო მაგნიტოფონი. ოთახში ისმის მშვიდი ხმები. თურმე ფენები მარტო ჩამონგრევის წინ არ „ისვრიან“. მთავარია ამ „გასროლათა“ სიხშირე. თუ იმპულსების რიცხვი 5-დან 20-მდე მერყეობს, მაშინ საშიშროება მოსალოდნელი არ არის.

ოპერატორი ისმენს სხვა ჩანაწერს, და ოთახში თითქოს რამდენიმე მოტორი აგუგუნდა. ასეთ შემთხვევაში სეისმურ-აკუსტიკური სადგურიდან შახტში აძლევენ მოსალოდნელი საფრთხის მაუწყებელ სიგნალს. ხოლო პროგნოზების ჟურნალში დაახლოებით ასეთი ჩანაწერი კეთდება:

„18 მარტს მე-3 ცვლის მეორე ნახევარში ფენების ხმაურის ინტენსივობამ საათში 58 იმპულსს მიაღწია. მეორე საათს კი უკვე 120 იმპულსს უდრიდა. ორი საათის შემდეგ მოხდა ქვანახშირის ჩამონგრევა დაახლოებით 10 ტონის რაოდენობით. ამ დროს მეშახტეები არ ყოფილან შახტში. გატანილ იქნა აგრეთვე ყველა მექანიზმი“.

გეოფონი იმდენად მგრძნობიარეა, რომ შახტში მომუშავეთა ხმებსაც კი იწერს.

ეს გეოფონის ნაკლია, — ამბობს სადგურის სწავლული მდივანი ვ. ნეკრასოვ